



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი N01

ქ. მარნეული

15.02.2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:
 საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, როვშან ისკანდაროვი, ბესიკ გელენიძე, ლაშა ქველაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ადილ ალიევი, გივი გიორგაძე, ვასილ ხახულაშვილი, ვანო ბურნაძე, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, არსენ ახვერდიანი, ლევონ აკოპიანი, მათა გელაშვილი, ადილ გურბანოვი, ომარ ირიშოვი, ანარ პირიევი, მახირ ბაირამოვი, ნაზილა მუსტაფაევა, გიუნამ რიზაგულიევა, აიაზ ხუდიევი, თამარ აბასოვა, რახმან მუსაევი, სოსო ინაძე, რამალ ახმედოვი, ნარგიზა ალიევა, მეხტი ასკეროვი, დავით ქიმაძე, მარინა პეტროვა.

არ ესწრებოდა:

ტარიელ მამედოვი, თეონა ფარჯიანი, ნიკოლოზ გოგოჭური, მახარატ ალახვერდიევი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი კენან ომაროვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე როინი დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი ია ესეზუა, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტები, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების და განყოფილებების უფროსები თან ერთვის.

ასევე ესწრებოდნენ:

მარნეული TV-სა და რადიო მარნეულის წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 დეკემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის 2022 წლის 28 იანვრის N97-3222028565 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

4. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

5. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

6. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

7. შ.პ.ს. „ექსპრეს-ტურისტი“-ს 2022 წლის 26 იანვრის N2 წერილის განხილვის შესახებ.

8. მარნეულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

9. სოციალური საკითხები.

10. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 15 თებერვლის N32-322204635 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 თებერვლის N32-322204578 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 დეკემბრის N41 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით. ნაციონალური მოძრაობის 6 წევრი წავიდა წინააღმდეგი (მიღებულია დადგენილება N01. 15.02.2022 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე თეონა ფარჯიანი არ ესწრებოდა სხდომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა განკარგულების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N84 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N01. 15.02.2022 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 03 თებერვლის N32-3222034319 წერილით შემოსული მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის 2022 წლის 28 იანვრის N97-3222028565 მოხსენებითი ბარათი და ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტრაქტორები გამოყენებული იქნეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (100 000 ქულამდე) მოსახლეობის მიწის ფართობების მოსახნავად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N02. 15.02.2022 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N42 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N02. 15.02.2022 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N47 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N03. 15.02.2022 წ.).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N81 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N03. 15.02.2022 წ.).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ადილ ალიევმა საკრებულოს წევრებს გააცნო შ.პ.ს. „ექსპრეს-ტურისტი“-ს 2022 წლის 26 იანვრის N2 წერილი, რომლითაც ითხოვს ქალაქ მარნეულში, PSP -სა და AVERS-ს აფთიაქების მიმდებარედ, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების საფუძველზე განსაზღვრული საგზაო ნიშნების ამოქმედებას, ვინაიდან მიუხედავად გაჩერების და „დგომა აკრძალულია“-ს ნიშნებისა, მათი მოქმედება არ სრულდება, რაც იწვევს კონფლიქტს მძღოლებს შორის. გამოითქვა აზრი, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების აღსრულების მიზნით საოქმო ამონაწერი გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს, რათა მიმართოს საპატრულო პოლიციას შემდგომი ქმედებების განსახორციელებლად.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსმა ია ესებუამ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N04. 15.02.2022 წ.).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭონიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება საოქმო ამონაწერი გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ საკრებულოს წევრებს, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, მარნეულის

მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 15 თებერვლის N32-322204635 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს კენან ომაროვს, იაპონიის საელჩოს მიერ ორგანიზებულ საგრანტო კონკურსში მოპოვებული 82.243 (ოთხმოცდაორიათასორასორმოცდასამი) აშშ დოლარის ღირებულების მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის ნარჩენების შემკრები მანქანის შეძენის მიზნით, გრანტის მიღების ნებართვის მისაღებად შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N05. 15.02.2022 წ).

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის პირველი სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე